თელავის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF TELAVI MUNICIPALITY

საქართველო, ქალაქი თელავი, 2200 ერეკლე II გამზ. #16 ტელ: 0350273106, ფაქსი: 0350272300
Telavi, Georgia 16 Erekle II str. 2200, Tel: 0350273106, fax: 0350272300 E-mail: info@telavi.gov.ge

N 3932
21/12/2018

3932-08-2-201812211158

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) წინაშე თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ 07.11.2018 წლის N3290, 16.11.2018 წლის N3413, (სააგენტოს რეგისტრაციის №116106/10, 07.11.2018წ; 119221/10, 16.11.2018წ;) წერილებით დააყენა შუამდგომლობა, თელავში, თამარის ქუჩაზე, ყოფილი ე.წ. სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში მცხოვრებ მოქალაქეებისათვის, რომელთაც ბინები დაკავებული აქვთ 90-იანი წლებიდან და უმეტესობა წარმოადგენს სოციალურად დაუცველ პირს, ნაწილი ყოფილ ან მოქმედ სამხედრო მოსამსახურეს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად (1 ლარად) პრივატიზების თაობაზე.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მოცემულ საკითხი ინიციარებულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საქართველოს მთავრობის წინაშე გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული პროცესების კვალდაკვალ, გთხოვთ გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე მხედველობაში მიიღოთ, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის უძრავი ქონების გადაცემა/დაკანონებამ არ უნდა დააზარალოს მათი სოციალური უფლებები. მოცემული გარემოების მხედველობაში მიღებით, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება გადაცემული უძრავი ქონება არ იქნეს სოციალურიად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი

გადამოწმების საფუძველი და აღნიშნული ოჯახები გათავისუფლდნენ მიღებული ქონებების თაობაზე კომპეტენტური ორგანოსთვის - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის, შეტყობინების ვალდებულებისაგან.

პატივისცემით,

შოთა ნარეკლიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
თელავის მუნიციპალიტეტის მერია